



უნილონი

სადაზღვევო კომპანია

უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის პირობები

ACCIDENT INSURANCE TERMS AND CONDITIONS

**დეპონირებული
ხელშეკრულების #:**

N211065476

დამტკიცების თარიღი:

24/09/2021 წელი

უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის პირობები

ACCIDENT INSURANCE TERMS AND CONDITIONS

განმარტებები, საერთო დებულებები

მზღვეველი – სს “სადაზღვევო კომპანია უნისონი“, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ეწევა სადაზღვევო საქმიანობას და გადასცემს დამზღვევს უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის პოლისს;

დამზღვევი – იურიდიული პირი, რომელმაც დადო დაზღვევის ხელშეკრულება მზღვეველთან.

დაზღვეული - საწარმოს ყველა თანამშრომელი, რომელთა მიმართაც ხორციელდება დაზღვევა და რომლის ჯანმრთელობასთან, სიცოცხლესთან, შრომისუნართან დაკავშირებული ქონებრივი ინტერესი წარმოადგენს დაზღვევის ობიექტს.

მოსარგებლე - ფიზიკური პირი, რომელიც წინამდებარე პირობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება

სადაზღვევო პოლისი - დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს განხორციელებული დაზღვევის დამადასტურებელ საბუთს.

სადაზღვევო თანხა - სადაზღვევო ხელშეკრულებით (პოლისით) განსაზღვრული თანხა, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი იღებს პასუხისმგებლობას, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება.

სადაზღვევო შემთხვევა - სადაზღვევო რისკის დადგომით გამოწვეული შემთხვევა, რომელსაც შედეგად მოჰყვა:

- დასაქმებულის ჯანმრთელობის დაზიანება;
- შრომისუნარიანობის შეზღუდვა ან დაკარგვა;
- გარდაცვალება; და რომლის დადგომისას დგება მზღვეველის პასუხისმგებლობა, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დაზღვეულზე ან მოსარგებლებზე.

უბედური შემთხვევა – უეცარი, მოულოდნელი მოვლენა, რომელიც მოხდა დაზღვეულის ნებისგან დამოუკიდებლად, გარეშე ძალის ზემოქმედების შედეგად და გამოიწვია

DEFINITIONS, GENERAL PROVISIONS

Insurer - Insurance Company Unison JSC, which is engaged in the insurance business and will issue to the Policyholder a Personal Accident insurance policy in accordance with the legislation;

Policyholder - legal person, which has concluded the insurance contract with the Insurer.

Insured - all employees of the enterprise, which are covered with the insurance and the property interest of related to health, life and work ability of which is the insurance object.

Beneficiary - natural person who is authorized to receive the insurance indemnity under these Terms and Conditions and in accordance with the requirements of the applicable law.

Insurance policy – a document, which proves the executed insurance.

Insurance coverage - the amount specified by the insurance contract, within which the Insurer undertakes to pay the insurance indemnity.

Insured accident – An accident caused by insurance risks following the result:

- The health injury of an employee;
- temporary or permanent disability
- death of the insured person and the occurrence of which arises the Insurer's liability to issue the insurance indemnity to the Policyholder or Beneficiary.

Accident – a sudden, unexpected event that occurred beyond the will of the Insured, as a result of impact of external force and led to a temporary or permanent disability or death of the insured.

დაზღვეულის შრომისუნარის დროებითი ან მუდმივი დაკარგვა ან სიკვდილი.

სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევა – სამუშაო პროცესში ან სამუშაო პროცესთან დაკავშირებით მომხდარი უბედური შემთხვევა, რომელსაც შედეგად მოჰყვა დასაქმებულის ჯანმრთელობის დაზიანება, შრომისუნარიანობის შეზღუდვა ან დაკარგვა, გარდაცვალება ან მისი უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება;

სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევა კლასიფიცირდება მისი შედეგების და ერთ ჯერზე დაშავებული ადამიანების რაოდენობის მიხედვით, შემდეგნაირად:

ა. მსუბუქი უბედური შემთხვევა – უბედური შემთხვევის გამო მსუბუქი დაზიანება შრომისუნარიანობის დაკარგვის გარეშე ან შრომისუნარიანობის დაკარგვით არაუმეტეს 3 დღისა;

ბ. საშუალო სიმძიმის უბედური შემთხვევა – უბედური შემთხვევის გამო დაზიანება შრომისუნარიანობის დაკარგვით 3 დღიდან 40 დღემდე;

გ. მძიმე უბედური შემთხვევა – უბედური შემთხვევის გამო მუდმივი შრომისუნარიანობის განვითარება ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან/და დროებითი შრომისუნარიანობის განვითარება 40 კალენდარულ დღეზე მეტი ხნით;

დ. ფატალური უბედური შემთხვევა – უბედური შემთხვევის გამო ადამიანის (დასაქმებულის ან სხვა პირის) სამუშაო ადგილზე ან უბედური შემთხვევიდან 1 წლის განმავლობაში გარდაცვალება;

ე. მასობრივი უბედური შემთხვევა – უბედური შემთხვევის გამო 3 ან მეტი ადამიანის დაშავება, მათ შორის, 1 მძიმე უბედური შემთხვევა ან 1 ფატალური უბედური შემთხვევა.

სადაზღვევო ტერიტორია -

ყველა სამუშაო ადგილისა და იმ ტერიტორიის ერთობლიობა, სადაც დასაქმებულები იმყოფებიან / გადაადგილდებიან სამსახურებრივი დანიშნულებით და რომლებსაც პირდაპირ, ან არაპირდაპირ დამსაქმებელი აკონტროლებს; (იგულისხმება მხოლოდ საქართველოს ტერიტორია, გარდა ოკუპირებულია)

სადაზღვევო რისკი - სამუშაო სივრცეში დამდგარი უბედური შემთხვევა – სამუშაო პროცესში ან სამუშაო პროცესთან დაკავშირებით მომხდარი შემთხვევა, რომელსაც შედეგად მოჰყვა:

- დასაქმებულის ჯანმრთელობის დაზიანება,

The accident at the workplace – The accident that occurred during or in connection with working process and which resulted injury to health, Restriction or loss of working capacity, death or recognition as missed of the employed.

The accident at the workplace is classified according to the results and the number of people injured at a time, as follows:

a. The light accident - Light damage as a result of an accident, without loss of working capacity or loss of working capacity no more than 3 days.

b. Accidents of average severity – The accident that occurred loss of working capacity from 3 days to 40 days Because of the accident

c. Serious accident - The accident that caused Permanent loss of capacity or serious injury to health or/and temporary loss of working capacity at least 40 calendar days.

d. Fatal accident – The accident that caused death of a person (employee or other person) at the workplace. Also the accident that caused death of a person (employee or other person) within one year from the accident.

e. Mass accident – The accident that caused injury of 3 or more persons, among which one was either serious or fatal

Territorial workplace/integrity - where the employees are / are migrating for the purpose of service and directly or indirectly controlled by the employer; (It is only the territory of Georgia except the occupied.

- Insurance risk - an accident in the workplace - a case of working or working process that followed:
- Employee's health injury,
- Restriction or loss of work capacity
- Death or loss of his / her missing;

- შრომისუნარიანობის შეზღუდვა ან დაკარგვა
- გარდაცვალება ან მისი უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება;

დაზღვევის ხელშეკრულება

1. დაზღვევის ხელშეკრულება – მზღვეველსა და დამზღვევეს შორის შეთანხმება, რომლის საფუძველზედაც მზღვეველი იღებს ვალდებულებას, აუნაზღაუროს დაზღვეულს, ან სხვა პირს, ვის სასარგებლოდაცაა დადებული დაზღვევის ხელშეკრულება, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ზარალი ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის ფარგლებში, ხოლო დამზღვევი იღებს ვალდებულებას რომ გადაიხდის შესაბამისი პოლისით განსაზღვრული სიდიდის სადაზღვევო პრემიის, ამავე პოლისით განსაზღვრული წესითა და ვადებში.

დაზღვევის ხელშეკრულების დადება და მოქმედების ვადები

1. დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველია დამზღვევის წერილობითი ან სიტყვიერი განცხადება. დამზღვევმა ხელშეკრულების დასადებად მზღვეველს უნდა წარუდგინოს აუცილებელი და ზუსტი ინფორმაცია;
- დამზღვევმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი მონაცემები:
 - დამზღვევი იურიდიული პირისათვის – დამზღვევის დასახელება და იურიდიული მისამართი, მისი საბანკო რეკვიზიტები, დაზღვევის ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი, თანამდებობა.
 - დაზღვეულთა სია სახელის, გვარის, სქესის, დაბადების თარიღის, მისამართის, ტელეფონის, საპასპორტო მონაცემებისა და სამსახურებრივი თანამდებობის ჩვენებით. დაზღვეულის სახელი; გვარი; პირადი ნომერი
 - მზღვეველის მიერ დაზღვევის განხორციელებისათვის საჭირო სხვა დოკუმენტები

INSURANCE CONTRACT

1. Insurance contract - the agreement between the Insurer and insured, under which the Insurer undertakes to indemnify to the insured or to another person, in favor of whom the insurance contract is made, the loss upon the occurrence of insured accident within the limits determined by the contract while the Policyholder undertakes to pay the insurance premium of a specific amount under the rules and terms provided by the contract

CONCLUSION OF INSURANCE CONTRACT AND ITS TERM

1. The basis of the Insurance Contract is a written or verbal application of the Policyholder. The Policyholder, to conclude the contract must submit to the Insurer the necessary and accurate information.

- The Policyholder must provide the following data:
 - for a Policyholder -legal person - the Policyholder's name and legal address, bank details, the name and position of a person responsible for signing the Insurance Contract;
 - a list of the Insured, specifying their names, sex, date of birth, address, phone, passport data and position;
 - other documents necessary for the implementation of the insurance by the Insurer.

სადაზღვევო პრემია და მისი გადახდის წესი

1. სადაზღვევო შესატანის სიდიდე განისაზღვრება სადაზღვევო რისკის სიდიდის, დაზღვევის პერიოდისა და სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით.
2. სადაზღვევო შესატანის (პრემიის) გადახდა შესაძლებელია უნაღდო ან ნაღდი ანგარიშსწორებით.
3. სადაზღვევო შესატანის სიდიდე და გადახდის წესი განისაზღვრება დაზღვევის კონკრეტული პოლისით.
4. თუ მზღვეველისათვის ცნობილი გახდება იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც არსებითად ზრდიან სადაზღვევო რისკს, იგი უფლებამოსილია, მოსთხოვოს დამზღვევს დაზღვევის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა, ან დამატებითი სადაზღვევო პრემიის გადახდა, რომელიც ადექვატური იქნება რისკის ზრდისა. თუ დამზღვევი წინააღმდეგია დაზღვევის ხელშეკრულების შეცვლის, ან დამატებითი პრემიის გადახდის მზღვეველი უფლებამოსილია დაარღვიოს ხელშეკრულება.
5. დამზღვევის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პრემიის გადახდის წესის პირველივე დარღვევის შემთხვევაში (პრემია და/ან მისი ნაწილი დროულად ან დადგენილი ოდენობით არ იქნა გადახდილი) მზღვეველი უფლებამოსილია შეაჩეროს სადაზღვევო მომსახურება და არ აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევები გრაფიკის დარღვევის დღიდან 14 კალენდარული დღის შემდეგ, ყოველგვარი დამატებითი შეტყობინების გარეშე დამზღვევის მიერ ფინანსური ვალდებულების სრულად შესრულებამდე. სადაზღვევო მომსახურება განახლება მხოლოდ დამზღვევის მიერ პრემიის გადახდის შემდეგ. დავალიანების დაფარვის შემდგომ მზღვეველი, დავალიანების წარმოშობიდან მე-15 დღიდან მომსახურების განახლებამდე არსებულ პერიოდში დამდგარ შემთხვევებს აღარ განიხილავს სადაზღვევო შემთხვევად და ამ პერიოდში დამდგარი ზარალი მზღვეველის მიერ ანაზღაურებას არ დაექვემდებარება.
6. იმ შემთხვევაში თუ პოლისით დაზუსტებული ორიგინალური პრემია დაფიქსირებულია ეროვნულ ვალუტაში და არ არის დაკავშირებული ანგარიშსწორების დღისათვის, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის აშშ. დოლართან გაცვლის კურსთან, მაშინ მზღვეველი უფლებამოსილია დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, საქართველოს ეროვნული ვალუტის აშშ დოლართან/ევროსთან მიმართებაში, ჯამში 5%-ით ან მეტით გაუფასურების შემთხვევაში, დამზღვევე(ებ)ისთვის წერილობით შეტყობინების გაგზავნის გზით გაზარდოს სადაზღვევო პრემიის (შესატანის)

INSURANCE PREMIUM AND PAYMENT PROCEDURE

1. The rate of the insurance premium is determined in consideration of insured risk size, insurance period and other factors.
2. The insurance premium may be paid in cash or by transfer.
3. The amount and payment of the insurance premium shall be determined by the Insurance policy.
4. If the Insurer becomes aware of the circumstances that substantially increase the insurance risk, it shall be entitled to require the Policyholder to make changes to the insurance contract or to pay additional insurance premium, which will be adequate to the risk growth. If the Insurer does not agree to change the insurance contract or to pay the additional premium, the Insurer is entitled to withdraw from the Contract
5. In case of the first violation of the premium payment (if the whole premium or part of it is not paid in due time or in the prescribed amount) by the insured, the insurer is exempt from fulfilling the obligations undertaken by the present Agreement. The insurer is authorized to suspend the insurance service and do not reimburse insurance accidents after 14 calendar days from the date of violation of the payment schedule, without any notice, until the insurer completes his financial obligations. The insurance service will be renewed only after the payment of the premium by the insurer. The cases, occurred from the fifteenth day of violation, will not be considered as an insurance cases, or paid accordingly by the insurer until the insurance service won't be renewed.
6. If the original premium specified in the policy is nominated in the national currency and is not linked for settlement day to the dollar exchange rate (The rate set by the National Bank) , during the period of validity of the insurance contract, in case of total 5 or more percent devaluation of Georgian national currency against USD / EUR and upon the written notice to the insured, insurer is entitled to increase the amount of the insurance premium (contribution) towards devaluation percentage / amount.

ოდენობა გაუფასურების პროცენტის შესაბამისად/ ოდენობით

დაზღვეული რისკის აღწერილობა და სადაზღვევო დაფარვის პირობები

1. უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება შეიცავდეს განსაზღვრული რისკების ნაკრებს შემდეგი ჩამონათვალიდან:
 - შრომისუნარის მუდმივი დაკარგვისას ანაზღაურებას ექვემდებარება: მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობისას – ანაზღაურების ჯამური ლიმიტის 100%, მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობისას – 75%, ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობისას – 50%.
 - დაზღვეული პირის მიერ ჯანმრთელობის დაზიანება, გამოწვეული უბედური შემთხვევისას მიღებული ტრავმით-კომპენსაციის სახით ანაზღაურდება ჰოსპიტალში გატარებული დღეების რაოდენობა, სამუშაო დღეების ხელფასის ოდენობით. ჰოსპიტალიზაციის შემთხვევაში ანაზღაურებადი დღეების მაქსიმალური პერიოდი 30 დღე.
 - დაზღვეულის გარდაცვალება უბედური შემთხვევის შედეგად – ქვე ლიმიტის 100%. ნებისმიერ შემთხვევაში გასაცემი ანაზღაურების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დაზღვეულის წლიურ ჯამურ შემოსავალს.
 - ანაზღაურების ლიმიტი - ერთ შემთხვევაზე - არაუმეტეს წლიური ხელფასის ოდენობისა. თუ პირს უბედური შემთხვევის დაზღვევა ორი სხვადასხვა პოლისით აქვს შეძენილი სს სადაზღვევო კომპანია უნისონში, შემთხვევის დადგომის შემთხვევაში ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად მზღვეველის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პოლისის ზღვრული ლიმიტის ოდენობით.

ანაზღაურებას არ ექვემდებარება თუ დაზღვევის ხელშეკრულებითა და ინდივიდუალური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული არ ანაზღაურდება:

1. უბედური შემთხვევა გამოწვეული დამზღვევის/დაზღვეულის განზრახ ქმედების შედეგად;

INSURANCE RISK

1. The Accident Insurance Contract may contain some identified risks from the following:

- the permanent full disability of the Insured the insurance indemnification is as following: 100% of the total amount of compensation for the sharply expressed disability, significantly restricted, significantly expressed limited Possibility - 75%, moderately expressed disabilities - 50%.
- Health Damage of the insured caused by an accident -in case of hospitalization, compensation will be payed according to the number of days spent in hospital in the amount of wages of working days. In case of hospitalization, the maximum period of paid days is 30 days.
- the death of the Insured resulted form an accident - 100 of the sub limit. In any case indemnity should not exceed annual income of the Insured Person.
- Compensation limit – per accident not more than annual salary. If the person has purchased two different policies of accident insurance at the insurance company Unison, the liability of the insurer shall be limited to the amount of the policy limit defined by this Agreement.

NOT SUBJECT TO INSURANCE COVERAGE: UNLESS THE INSURANCE CONTRACT AND INDIVIDUAL TERMS OF INSURANCE PROVIDE OTHERWISE, THE FOLLOWING IS NOT SUBJECT TO THE INSURANCE COVERAGE:

1. The accident that is caused by the intentional action of insured;
2. Persons who have suffered injuries during a criminal act or are intentionally damaging their health;
3. in case of illness, if breached the regimes prescribed by the doctor;
4. if temporary disability is caused by disease or injury, the immediate cause of which was

2. პირებზე, რომლებმაც ტრავმა მიიღეს დანაშაულებრივი ქმედების დროს ან განზრახ აყენებენ ზიანს თავიანთ ჯანმრთელობას;

3. ავადობის შემთხვევაში, მკურნალი ექიმის მიერ დაწესებული რეჟიმის დარღვევა

4. თუ დროებითი შრომისუნარობა გამონვეულია ტრავმით, რომელიც მიღებულია არაფხიზელი მდგომარეობა (ალკოჰოლური, ნარკოტიკული, და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებით თრობა)

5. ფსიქიური რეაქციით გამონვეული პათოლოგიური მოშლილობა, განურჩევლად ფსიქიური რეაქციის გამომწვევი მიზეზისა

6. თუ შემთხვევა დადგა სადაზღვევო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ

7. თუ შემთხვევა დადგა შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო საათების მიღმა;

8. თუ შემთხვევა დადგა შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისას

9. თუ უბედური შემთხვევა გამონვეული იქნება დაზღვეულის მხრიდან, შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის მუხლი 11-ით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით;

10. ბუნებრივი მიზეზით გარდაცვალება;

დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტის წესი

1. დაზღვევის ხელშეკრულება წყდება შემდეგ შემთხვევებში:

- დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების ვადის დამთავრებისას.
- მზღვევლის მიერ ვალდებულების სრული მოცულობით შესრულებისას;
- დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში დამზღვევის მიერ პრემიის (მორიგი შესატანის) არგადახდის შემთხვევაში;
- 7.1.4.
- დაზღვეულის არასადაზღვევო შემთხვევის მიზეზით სიკვდილის შემთხვევაში;
- დამზღვევის ან მზღვევლის მოთხოვნით, თუ ეს ხელშეკრულებითაა განსაზღვრული;

intoxications (under influence of alcohol, drugs, and other psychoactive substances);

5. Abnormal reaction caused by a mental disorder y, regardless of the underlying causes of mental reaction.

6. In case the accident occurred out of the insurance area;

7. In case the accident occurred beyond the working hours according to the labor agreement;

8. In case the accident occurred out of the working hours according to the labor agreement;

9. If the accident is caused by the insured by failure of the fulfillment of the obligations defined by the Georgian Labor safety legislation- Article 11;

10. Death by natural cause;

TERMINATION OF INSURANCE CONTRACT

1. The Insurance Contract is terminated in the following cases:

- the expiration of the term of validity of the insurance contract;
- full implementation of undertaken commitments by the Insurer;
- failure of the Policyholder to pay the premium (regular contribution) in the term determined by the Insurance Contract;
- in case of the Insured's death caused not by the insured accident;
- at the Policyholder's or the Insurer's request, if it is defined in the Contract;
- by the mutual agreement between the parties;
- in other cases, provided by the legislation.

- მხარეთა აურთიერთშეთანხმებით;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

2. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის განზრახვისას მხარეებმა უნდა აცნობონ ამის შესახებ ერთმანეთს 30 დღით ადრე.

3. მზღვევის მოთხოვნით ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისას, ის ვალდებულია მთლიანად დაუბრუნოს დამზღვევს (დაზღვეულს) შესატანი, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების შეწყვეტა არ არის დაკავშირებული დამზღვევის მიერ დაზღვევის პირობებისა და ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობასთან ან არაჯეროვან შესრულებასთან, ასეთი მოტივით ხელშეკრულების მოშლისას კი დამზღვევი კარგავს სადაზღვევო პრემიის დაბრუნების უფლებას, ხოლო მზღვეველი კი ინარჩუნებს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზიანის ანაზღაურების უფლებას.

დაზღვევის პირობების ცვლილებების წესი

1. დაზღვევის ხელშეკრულებით მხარეთა წინასწარი შეთანხმებით შესაძლებელია დაზღვევის ხელშეკრულების პირობების შეცვლა (სადაზღვევო ლიმიტი, რისკების ჩამონათვალი, სადაზღვევო შესატანი და სხვა).

2. დამზღვევის სურვილით შესაძლებელია, შეიცვალოს დაზღვეულთა რაოდენობაც;

3. დაზღვევის პირობების შეცვლის სურვილის შესახებ, დამზღვევმა უნდა აცნობოს მზღვეველს ცვლილების სავარაუდო თარიღამდე 5 კალენდარული დღით ადრე.

4. მზღვეველს უფლება აქვს მოსთხოვოს დამზღვევს ცვლილებებთან დაკავშირებული დანახარჯების ანაზღაურება.

5. დაზღვეულთა რაოდენობის გაზრდისას დამზღვევი მზღვეველს აწოდებს დაზღვეულთა შესახებ ყველა საჭირო მონაცემს და იხდის დაზღვეულთა რაოდენობისა და სადაზღვევო პერიოდის შესაბამის პრემიას.

6. დაზღვეულთა სიიდან პირის ამოღებამდე დამზღვევი ვალდებულია შეატყობინოს ამის შესახებ მზღვეველს არა ნაკლებ ერთი თვით ადრე პირის სიიდან ამოღებამდე. დამზღვევს უფლება აქვს დაიბრუნოს დარჩენილი პერიოდის პრემია 5 კალენდარული დღის მანძილზე, განუღი დანახარჯების გამოკლებით.

2. In case of early termination of the Contract the parties shall notify each other about this 30 days before.

3. In case of early termination of the contract at the Insurer's request, he shall return to the Policyholder (the Insured) the premium in full amount, in the case the termination of the contract is not related to the non-performance or improper performance by the Policyholder of the insurance terms and conditions and undertaken obligations. In case of contract termination for this reason, the Policyholder loses the right to return the insurance premium while the Insurer retains the right to claim damages under the procedure established by the legislation.

RULE OF CHANGING INSURANCE TERMS AND CONDITIONS

1. Within the Insurance Contract the parties under a prior agreement can change the terms and conditions of the insurance contract (insurance limit, a list of risks, the insurance premium and other).

2. The Policyholder can change the number of the insured as well.

3. The Policyholder shall inform the Insurer about his or her wish to change the terms of insurance, of 5 calendar days before the date of the alleged change.

4. The Insurer has the right to require the Policyholder to compensate the change-related expenses.

5. In case of increase in the number of insured, the Policyholder shall provide to the Insurer all the necessary data about the insured and pay the premium for the insurance period.

6. Before removal of a person from the list of insured the Policyholder shall notify the Insurer about at least one month prior to the removal from the list. The policy shall be returned to the Insurer, the Policyholder has the right to return the remaining period premium within 5 calendar days, excluding expenses borne.

მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. მზღვეველი ვალდებულია:

- გააცნოს დამზღვევს დაზღვევის პირობები;
- დაზღვევის ხელშეკრულების დადების შემდეგ გასცეს დამზღვევზე პოლისი თანდართული პირობებით, რომელთა საფუძველზეც არის დადებული ხელშეკრულება.
- სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას (გარდა გარდაცვალების შემთხვევისა) ყველა საჭირო დოკუმენტაციის მიღების შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება. უარის შემთხვევაში კი – დასაბუთებული უარი
- სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას (იგულისხმება გარდაცვალების შემთხვევა) ყველა საჭირო დოკუმენტაციის მიღების შემდეგ 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება. უარის შემთხვევაში კი – დასაბუთებული უარი

2. მზღვეველი უფლებამოსილია:

- მოსთხოვოს დამზღვევს ხელშეკრულების დასადაბად აუცილებელი ინფორმაცია;
გადაამოწმოს დამზღვევის მიერ
- წარმოდგენილი ინფორმაცია, აგრეთვე, დამზღვევის მიერ სადაზღვევო პირობების დაცვა.
დამოუკიდებლად აწარმოოს სადაზღვევო შემთხვევის კვლევა;
- აუცილებლობის შემთხვევაში მოითხოვოს ინფორმაცია კომპეტენტური ორგანოებიდან.
არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება: თუ
- დამზღვევის მიერ განზრახ წარმოდგენილ იქნა არასწორი მონაცემები ხელშეკრულების დადებისას, თუ დამზღვევი და მისი წარმომადგენლები ხელს უშლიდნენ ექსპერტთა მუშაობას; ან სადაზღვევო შემთხვევის შესახებ არ იქნა შეტყობინებული დადგენილ ვადაში, ანდა განზრახ წარმოდგენილ იქნა სადაზღვევო შემთხვევის შესახებ ცრუ მტკიცებულებები.
- რეგრესის წესით ამოიღოს მის მიერ გადახდილი სადაზღვევო თანხა უშუალოდ დამნაშავე პირისაგან, ასეთის არსებობისას.
- ცვლილებები, რომლებიც მოხდა დაზღვევის პოლისის გაფორმების შემდეგ და ზრდიან რისკის სიდიდეს, მზღვეველს ანიჭებენ უფლებას, შეცვალოს დაზღვევის

RIGHTS AND OBLIGATIONS OF THE PARTIES

1. The Insurer is obliged to:

- introduce the insurance terms and conditions to the Policyholder;
- after execution of the insurance contract, issue to the Policyholder the policy with the terms and conditions attached under which the Contract has been executed;
- Upon occurrence of the insured accident (except the death of the Insured) 10 (ten) working days after receiving all the necessary documents, issue the insurance coverage. In case of refusal – provide the reasons thereof.
- Upon occurrence of the insured accident (death of the Insured) 30 (thirty) working days after receiving all the necessary documents, issue the insurance coverage. In case of refusal – provide the reasons thereof.

2. The Insurer is entitled to:

- require the Policyholder to provide the information necessary for the contract;
- verify the information provided by the Policyholder as well as the compliance with the insurance terms and conditions by the Policyholder;
- provide independently the examination of the insured accident (loss);
- if necessary, request information from the competent authorities;
- not issue the insurance coverage: if the Policyholder has intentionally provided wrong data at the conclusion of the contract, if the Policyholder and its representatives have obstructed the work of experts; or has not informed about the insured accident in the set date, or has deliberately submitted false evidences of the insured accident.;
- by recourse withdraw the insurance money paid by it from the direct guilty person, if any;
- The changes, which took place after the signing of the insurance policy and which increase the size of the risk, vest in the Insurer the right to change the insurance terms and conditions and to require additional premium payments. If the Policyholder does not agree to change the terms of the insurance or refuses to pay the additional premium, the insurance policy is null

პირობები და მოითხოვოს დამატებითი პრემიის გადახდა. თუ დამზღვევი არ დათანხმდება დაზღვევის პირობების შეცვლას ან უარს განაცხადებს დამატებითი პრემიის გადახდაზე, დაზღვევის პოლისი ძალას კარგავს რისკში სიდიდის ცვლილებების მომენტიდან.

3. დამზღვევი ვალდებულია:

- გაცნოს დაზღვეულებს სადაზღვევო პირობები
- წარუდგინოს მზღვეველს სადაზღვევო ხელშეკრულების დასადებად აუცილებელი ინფორმაცია;
- ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში დროულად და სრულად გადაიხადოს სადაზღვევო პრემია;
- დაუყოვნებლივ აცნობოს მზღვეველს ყველა იმ გარემოებათა შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს სადაზღვევო რისკის ხარისხზე.
- დამზღვევი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მზღვეველს ან მის წარმომადგენელს მომხდარი სადაზღვევო შემთხვევის შესახებ მზღვეველის ცხელ ხაზზე +995 32 2 991 991, ასევე სატელეფონო შეტყობინება განახორციელოს ჯანდაცვის სამინისტროში +995 32 2 51 00 26 (1505 ცხელი ხაზი) და გამოიძახოს შრომის ინსპექტორი სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევის გამოძიების მიზნით. უფლება ანაზღაურების მიღებაზე დამოკიდებულია ამ ვალდებულების შესრულებაზე.

4. დამზღვევი უფლებამოსილია:

- მოსთხოვოს მზღვეველს დაზღვევის პირობებითა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;
- გააფართოვოს სადაზღვევო დაცვა დამატებითი სადაზღვევო პრემიის გადახდის გზით;
- წინამდებარე პირობების შესაბამისად შეცვალოს დაზღვეულთა რაოდენობა, გამოცვალოს დაზღვეული პირები;
- მზღვეველთან შეთანხმებით შეცვალოს სადაზღვევო თანხა;
- დაზღვეულს სადაზღვევო ანაზღაურების მიღებაზე პრეტენზიის უფლება გააჩნია სადაზღვევო შემთხვევის მოხდენიდან ერთი წლის განმავლობაში, თუ დაცულია 9.3.5 პუნქტის მოთხოვნები.

and void from the moment of changes in the size of risk.

3. The Policyholder undertakes to:

- To inform insured about the insurance conditions
- furnish the information necessary for conclusion of the contract to the Insurer;
- pay in timely and full manner the insurance premium in the term provided by the Contract;
- immediately notify the Insurer of all the circumstances, which can affect the quality of the insurance risk.
- Notify insurer or insurers representative immediately about the accident on the insurers hotline +995 32 2 991 991; also make a phone call to the Ministry of Health on +995 32 2 51 00 26 (1505 Hotline) and call a labor inspector to investigate a workplace accident. The right to indemnity depends on this obligation.

4. The Policyholder is entitled to:

- require the Insurer to perform the insurance terms and conditions and contractual obligations;
- extend the insurance protection though payment of the additional insurance premium;
- change the number, replace the insured persons under the present terms and conditions;
- change the insurance overeager under agreement with the Insurer;
- the Policyholder (the Insured) has the right to claim for insurance coverage within a year from the occurrence of the insured accident, if the provisions of Clause 9.3.5. are complied with.

სადაზღვევო ანაზღაურება

1. დაზღვევის საზღაურის მოთხოვნისას დამზღვევმა ან მოსარგებლემ დაუყოვნებლივ უნდა დაამტკიცოს თავისი ინტერესი, სადაზღვევო შემთხვევის სინამდვილე და თავისი პრეტენზია დაზღვევის საზღაურის ოდენობაზე.
2. უბედური შემთხვევით გამოწვეული დროებითი შრომისუუნარობა, ანაზღაურდება დაზღვეულს ერთი თვის ხელფასის ოდენობით (მაგრამ არაუმეტეს პოლისით განსაზღვრული ლიმიტისა), კანონით გათვალისწინებული ანაზღაურებადი დღეების ზევით, გაცდენილ სამუშაო დღეებზე გადაანგარიშებით
3. დაზღვეულის სიკვდილის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა მოსარგებლებზე ან მოსარგებლებზე ხელშეკრულებით განსაზღვრული პროპორციებით. თუ პროპორციები განსაზღვრული არ არის, სადაზღვევო თანხა ნაწილდება პროპორციულად.
4. უბედური შემთხვევის დადგომის დროს, მზღვეველთან ან სადაზღვევო ანაზღაურების მისაღებად საჭიროა შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენა:
 1. წერილობითი ფორმით განცხადება,
 2. სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტები
 3. სადაზღვევო პოლისის ორიგინალი;
 4. შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემული ცნობა მომხდარის (გარდაცვალების ფაქტი) შესახებ;
 5. ექსპერტიზის დასკვნა გარდაცვალების მიზეზის შესახებ; თუ მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე - მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით გამოძიების ხელთ არსებული დოკუმენტაცია (საქმის მასალები) (სიცოცხლის დაზღვევის და რეპატრიაციის შემთხვევაში);
 6. სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემული ცნობა უბედური შემთხვევის შესახებ;
 7. ზედამხედველი ორგანოს მიერ სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის მოკვლევის ოქმი (ასლი)
 8. შესაბამისი მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენტური ორგანოს დასკვნა

INSURANCE COVERAGE

1. In case of claiming the indemnity the policyholder or Beneficiary should immediately prove their interest, the truth of the insured accident the reality of their claim for the amount of indemnity.
2. A temporary disability caused by an accident is compensated to the insured in the amount of one-month salary (but no more than the limit under the policy), above the days payable under the law calculated by the missed work days.
3. In case of the insured's death, the insurance coverage will be paid to the Beneficiary or beneficiaries in proportions provided by the contract. If the proportions are not identified, the insurance coverage is distributed pro rata.
4. To receive the insurance coverage, the following documents should be submitted:
 1. Application in written form,
 2. documents evidencing the insured accident,
 3. Original insurance policy;
 4. A certificate issued by the relevant law enforcement authorities on the fact of death (fact of death); The expert conclusion on cause of death;
 5. criminal case has been instituted in connection with the incident - the documentation available in the investigation (case file) (in the case of life insurance and repatriation)
 6. the report of the respective authority identified by the applicable legislation on the permanent or temporary disability.
 7. Protocol on accident investigation by the supervisory authority (copy)
 8. The conclusion of the competent authority under the applicable law on the permanent loss or disability of the labor force. (Issued by Ministry of Health)
 9. Medical report and other similar documents on the nature and severity of the damage to the insured's health;
 10. A certificates of evidence; Which excludes the potential insured person from being affected by alcohol, drugs, toxic or psychotropic substances by providing relevant inspections at the time of the accident.

შრომისუნარის მუდმივად დაკარგვის ან ინვალიდობის თაობაზე. (გასცემს ჯანდაცვის სამინისტრო)

9. სამედიცინო დასკვნა და სხვა მსგავსი დოკუმენტები, დაზღვეულის ჯანმრთელობისთვის მიყენებული დაზიანების ხასიათისა და სიმძიმის ხარისხის თაობაზე;

10. ცნობა მტკიცებულებების თაობაზე; რომელიც გამორიცხავს დაზღვეულის ალკოჰოლურ, ნარკოტიკულ, ტოქსიკურ და ან ფსიქოტროპულ ნივთიერებათა ზეგავლენის ქვეშ შესაძლო ყოფნას, შემთხვევს დადგომის მომენტისთვის შესაბამისი შემოწმებების ცნობების წარმოდგენის გზით.

11. დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, შინაგანაწესი (უფლება-მოვალეობების განმარტებით)

12. 1 წლის ხელფასის ამონაწერი (ან შესაბამისი დოკუმენტი)

13. საავადმყოფო ფურცელი (ბიულეტენი)

14. შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის მული 11 -ით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი. (შრომის ინსპექცია)

დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში წარმოსადგენი დოკუმენტებია:

1. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით გაცემული დაზღვეულის გარდაცვალების მოწმობა, ცნობაში მითითებულ უნდა იყოს: გარდაცვალების თარიღი, ადგილი, ასაკი და სხვა ინფორმაცია.

2. ზედამხედველი ორგანოს ან სხვა შესაბამისი ორგანოს მიერ სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის მოკვლევის ოქმი (ასლი);

3. ექსპერტიზის დასკვნა გარდაცვალების უტყუარი (კონკრეტული) მიზეზის შესახებ;

4. სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემული ცნობა

5. თუ მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე - საქმის მასალები.

6. მოსარგებლის - მემკვიდრის სამკვიდრო მოწმობა (მამკვიდრების სამკვიდროში წილის მითითებით) და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ნებისმიერ შემთხვევაში, კონკრეტული

11. Contract between the employer and the employee, internal regulations (explaining rights and duties)

12. 1 year salary statement (or relevant document)

13. Hospital Sheet/sick leave certificate; (Bulletin)

14. Document certifying the fulfillment of the obligations stipulated by the Law of Georgia on Labor Security 11. (Labor Inspection)

Documents to be submitted in case of death of the insured are:

1. The death certificate of an insured person, issued in compliance with the requirements of Georgian legislation, shall contain the following information: date of death, place, age and other information.

2. Protocol on the accident in the workplace by the supervisory authority or other relevant authority (copy);

3. Expertise conclusion on the definite (specific) cause of death;

4. Certificate issued by law enforcement agencies

5. If a criminal case has been filed in connection with the incident - case file.

6. Beneficiary's - heir's inheritance certificate (indicating share in the estate of the decedents) and identity document

In any case, depending on the specifics of the particular case, the insurer may request additional documentation related to the case, appoint an expert witness and perform other actions

შემთხვევის სპეციფიკიდან გამომდინარე მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს შემთხვევასთან დაკავშირებული დამატებითი დოკუმენტაცია, დანიშნოს ექსპერტიზა და შეასრულოს სხვა მოქმედება.

დავათა გადაწყვეტა

1. ნებისმიერი დავა მხარეთა შორის გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკებისა და შეთანხმების მიღწევის გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეები ირჩევენ სასამართლოს.

დასკვნითი დებულებები:

წინამდებარე ხელშეკრულება შედგენელია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე, რომელთა შუესაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ ხელშეკრულებას.

SETTLEMENT OF DISPUTES

1. Any dispute between the Parties shall be resolved through negotiation and agreement. In the event of disagreement, the Parties shall choose apply to Court.

FINAL PROVISION

Present agreement is made in two equal legal copies in two languages (Georgian and English), in case of irrelevance Georgian copy will preferred